პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---მარტი 2019 წელი

ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, მელაანის ქუჩის V შესახვევისთვის და მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის გენერალ-მაიორი რომან გვენცაძის სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) ისნის რაიონში, მელაანის ქუჩის V შესახვევს და მასთან არსებულ ერთ ჩიხს მიენიჭოს გენერალ-მაიორი რომან გვენცაძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე

01.17.08.016.003
01.17.02.001.107
01.17.08.016.052
01.17.08.016.005
01.17.08.016.005
01.17.08.018.003
I ჩიხი
რომან გვეწცაძის ქ.
01.17.02.060.004
01.17.08.075.017
01.17.08.075.017

რომან გვენცაძე

(1945-2017)

პოლიციის გენერალ-მაიორი

დაიბადა თბილისში. დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი ინჟინერ-მშენებელის სპეციალობით 1971 წელს, ხოლო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი სამართალმცოდნის სპეციალობით 1986 წელს.

პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა სამშენებლო მექანიკისა და სეისმომდგრადობის ინსტიტუტში. 1990-1992წწ. იყო თბილისის შს სამმართველოს უფროსი, შს მინისტრის მოადგილე; 1992 წლის იანვრიდან ამავე წლის ნოემბრამდე შსს მინისტრი; 1993-1994 წწ. საქართველოს შსს უმაღლესი სკოლის დირექტორი. ამავე წლებში მუშაობდა შსს პოლიციის აკადემიის რექტორად. მილიციის გენერალ-მაიორი. დაჯილდოებულია 2 ორდენით და 5 მედლით. ასევე დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.

„ა(ა)იპ საქართველოს ომისა და
სამხედრო ძალების ვეტერანთა
თბილისის საქალაქო კავშირი"

თბილისი, 0102, დ. აღმაშენებლის გამზირი № 89/24
ტელ: 2-93-50-12, 2-30-60-68 , 599-02-89-09
ელ.ფოსტა: vetrancentralunion.geo@gmail.com

№ 1/20-1 «04» ივლისი 2018 წ

10/031809430-03

თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ გიორგი ტყემალაძეს.

ბატონო გიორგი!

ქართულ საზოგადოებასა და შინაგან საქმეთა ორგანოებს უდროოდ გამოაკლდა ჭეშმარიტად რაინდული სულის პიროვნება, გენერალ-მაიორი რომან გვენცაძე, რომელიც სრულიად ახალგაზრდა მოვიდა რა შინაგან საქმეთა ორგანოებში სახელოვნად გაიარა ამ სისტემის იერარქიული კიბის ყველა საფეხური, ოპერატიული მუშაკიდან შინაგან საქმეთა მინისტრობამდე. იგი თავის საქმეზე ზომაზე მეტად იყო შეყვარებული, მებრძოლი სულითა და ვაჟკაცობით უძღვებოდა სისხლის სამართლის სამძებროს საქმიანობას, იყო უმაღლესი კლასის ოპერატიული მუშაკი და გამორჩეული პროფესიონალი. მისი პირადი ინიციატივით გახსნილი იყო არა ერთი საკმაოდ მძიმე და გახმაურებული დანაშაულები, თუმცა ამ პერიოდისათვის შინაგან საქმეთა ორგანოების ეს სტუქტურები ნამდვილად არ იყო განებივრებული შესაბამისი ტექნიკური, კრიმინალისტური შესაძლებლობებითა და ფინანსური მხარდაჭერითაც კი და დანაშაულთან ბრძოლა, მაშინდელ მუშაკებს თითქმის შიშველი ხელებით უწევდათ.

ჭეშმარიტად გამორჩეულთა რიგს ეკუთვნოდა ბატონი რომან გვენცაძე მისი უშუალო ინიციატივით, ქართულმა პოლიციამ 1989 წლის 9 აპრილს მთავრობის სასახლის წინ რუსული ჯარის სპეცნაწილებისაგან დარბეულ მომიტინგეებს კორიდორი გაუხსნა და ნამდვილ სასაკლაოს გამოარიდა იქ მყოფნი, რითაც არა ერთი ქართველი პატრიოტის სიცოცხლე იხსნა. მან ასევე დიდი როლი ითამაშა 1991 წელს იმდროინდელ ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის პიკს მიღწეული დაპირისპირება რომ არ გადაზრდილიყო სისხლისღვრაში.

ბატონ რომან გვენცაძის პროფესიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობა ხელისუფალთ არ დაუტოვებიათ ყურადღების გარეშე, ღირსეულად შეფასდა და ის არა ერთი სახელმწიფო უმაღლესი ჯილდოს მფლობელი იყო.

ცხოვრების ბოლო პერიოდში მან თავის მეგობრებთან და თანამოაზრეებთან ერთად წამოიწყო და ბოლომდე მიიყვანა ულამაზესი ტაძრის მშენებლობა ნარიყალაზე , რაც დაუფასდა და უწმინდესისა და უნეტარესის კურთხევით სამუდამო სასუფეველი ჰპოვა ტაძრის ეზოში.

ბატონო გიორგი! საქართველოსშინაგან საქმეთა ორგანოების მრავალათასიანი ვეტერანების სახელით გთხოვთ ბატონ რომან გვენცაძის სახელის უკვდავსაყოფად

თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიაკუთვნოთ მისი სახელი, რაც მისი ღვაწლის დაფასებასა და დღევანდელი პოლიციის სტრუქტურებში მომუშავე ახალგაზრდა თაობების რწმენის განმტკიცებას შეუწყობს ხელს.

საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოების ვეტერანთა სახელით : გურამ გვეტაძე, ჯემალ გახოკიძე, დავით სარალიძე, სანდრო კავსაძე (არქიმანდრიტი ილია), დემურ მიქაძე, ვახტანგ გვარამია, გივი ლომინაძე, გიორგი ხაზარაძე, ალეკო მიქაბერიძე, გრიშა შონია, ილია შონია, ტიტე ლეპსაია, გურამ ახალაია, ლევან კენჭაძე, ზურაბ მაჩაიძე, ზურაბ ხაჟალია, შენგელი ფიცხელაური, ჯემალ ჯანაშია.

პატივისცემით,
ტიტე ლეფსაია

ა(ა)იპ ომისა და სამხედრო ძალების
ვეტერანთა თბილისის საქალაქო კავშირის
გამგეობის თავმჯდომარე, იურიდიულ
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
თადარიგის პოლკოვნიკი

ქ. თბილისის საკრებულოს თავჯდომარეს
ბ-ნ გ.ტყემალაძეს
ნარიყალას წმ. ნიკოლოზის სახელობის
ტაძრის მოძღვრებისა და მრევლის

მიმართვა

პატივცემულო გიორგი,

კარგად მოგეხსენებათ იმ ღვაწლის შესახებ, რომელიც მიუძღვის ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ ღირსეულ და ამაგდარ მოქალაქეს, გენერალ რომან გვენცაძეს ნარიყალას, დედაციხისა და წმ. ნიკოლოზის სახელობის ტაძრის, მთელი ამ ისტორიული შემოგარენის აღდგენა-აღორძინების საქმეში. რომან გვენცაძისა და მისი უახლოესი მეგობრების ძალისხმევა რომ არა, ჯერ კიდევ კომუნისტურ პერიოდში, ჩვენი დედაქალაქის ეს ღირსშესანიშნავი არე-მარე დღემდე ისეთივე მიუვალი და გავერანებული იქნებოდა, როგორც ამ 30-ოდე წლის წინ დაგვხვდა, რის ვაი-ვაგლახით აქ ამოსულებს. ცნობილია, რომ XX საუკუნის 80-90 წლების ბოლომდე ნარიყალაზე ასასვლელი გზაც არ არსებობდა. ტერიტორიაზე მხოლოდ XIX საუკუნეში აფეთქებული ტაძრის ნანგრევები და ქვა-ღორღი ეყარა, რომელიც (30 ათასამდე კბ.მ) მხოლოდ მის მიერ ამ გზაზე მცხოვრებული არამართლმადიდებელი მოქალაქეების რამოდენიმე ოჯახის გასახლებისა და ქუჩის გაჭრის შემდეგ იქნა აქედან გაზიდული. მხედველობაში თუ არ მივიღებთ ქ. თბილისის მერიის მიერ შარშან დაწყებულ პროექტს, ყველაფერი რომან გვენცაძისა და მისი თანამებრძოლების, ენთუზიასტების პირადი შემოწირულობებისა და ქველმოქმედების, უანგარო ფიზიკური შრომისა და ინიციატივის ხარჯზე გაკეთდა. ცალკე საუბრის თემაა სრულიად საქართველოს დავით აღმაშენებლის საზოგადოების მასშტაბური მოღვაწეობა, რომელიც ერთ-ერთი პირველი არასამთავრობო, საერთო-სახალხო ორგანიზაცია იყო საქართველოში, პირადად რომან გვენცაძის ინიციატივით შექმნილი და მასში აქტიურად თანამშრომლობდნენ ჩვენი ქვეყნის სასიქადულო მამულიშვილები. მათი ხელით ბევრ პატრიოტულ საქმეს ჩაეყარა საფუძველი.

მაშინ, როცა ქვეყანას თავს დაატყდა ომი და უბედურება, რომან გვენცაძის, როგორც შს ორგანოს ლეგენდარული მუშაკისა და ღვაწლმოსილი გენერლის სამხედრო-პატრიოტული დამსახურების შესახებ თქვენ ცალკე მოგახსენებენ მისი კოლეგები.

დიდია რომან გვენცაძის დამსახურება ქ. თბილისის წინაშე. იგი რამოდენიმეჯერ იყო ქალაქის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსი, შს მინისტრის მოადგილე, შს მინისტრი, საქართველოს პარლამენტისა და ქ. თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატი და აღმასრულებელი/კომიტეტის წევრი. განსაკუთრებულია მისი პირადი წვლილი 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის დროს, ათასობით თბილისელი მოქალაქის გადარჩენის საქმეში, როცა მაშინდელმა პოლიციის თანამშრომლებმა, მისი ხელმძღვანელობით, ფაქტიურად დაიცვეს ადამიანთა სიცოცხლე და ჯალათებს ხელიდან გამოგლიჯეს არა ერთი მომიტინგე.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ლოცვა კურთხევით მისი ცხედარი ამჟამად ნარიყალას წმ. ნიკოლოზის სახელობის ტაძრის ეზოში განისვენებს.

მოგმართავთ მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის ილია II ლოცვა-კურთხევით, გთხოვთ ქ.თბილისის რომელიმე ქუჩას მიენიჭოს ღვაწლმოსილი მამულიშვილის, მხედრული მამაცობითა და მაღალი ზნეობრივი თვისებებით გამორჩეული ქართველი პატრიოტის, გენერალ რომან გვენცაძის სახელი.

პატივისცემით

ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი: /გ.თევდორაშვილი/

დეკანოზი: /ს. მარგალიტაძე/

ნარიყალის წმ. ნიკოლოზის ხახულობის

ტაძრის აღმშენებლებმა და ტაძრის მრევლი:

[illegible]

[illegible]

[illegible]

ნარიყალას წმ. ნიკოლოზის სახელობის

ტაძრის ადმშენებლები და ტაძრის მრევლი:





591 919 999

22 [illegible]

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

წერილის ნომერი: 03-031907883
თარიღი: 19/03/2019
პინი: 5793

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსს
ბატონ ალექსანდრე ტოგონიძეს

გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი ისნის რაიონში, მელაანის ქუჩის V შესახვევისთვის და მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის რომან გვენცაძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ ინტერაქტიული რუკის მეშვეობით შესწავლილი იქნა უსახელო გეოგრაფიული ობიექტის მდებარეობა და მის მიმდებარედ სახელდებული ქუჩები.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში, ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში (მ/წლის 5 აპრილი) გამოგვიგზავნოთ სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 1 (ერთი) გვერდი.

თინათინ ნიბლოშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი